კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.mofacademy.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 26 ოქტომბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემია
www.mofacademy.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
60,00%
66,75%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
60,00%
56,67%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
80,00%
38,50%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
42,31%
20,36%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
10,00%
19,50%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
7,69%
47,50%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0,00%
0,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0,00%
0,00%
0,00%
50,00%
100,00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ მოიძება აკადემიის დირექტორისა და მისი მოადგილის კომპეტენციის აღწერა (მათ შორის აკადემიის დირექტორის მიერ განსაზღვრული მოადგილის ფუნქციების აღწერა), აგრეთვე, არ მოიძიება, დირექტორის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი: სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას (ქვე-)განყოფილებები, სათაურად „აკადემიის დირექტორი“ და „მოადგილე“ სადაც განთავსდება მათ შესახებ შესაბამისი ინფორმაცია.

ამასთან, აკადემიასთან ელექტრონული მიმოწერისას გაირკვა, რომ დირექტორს ჰყავს ერთი მოადგილე, ხოლო ამ ეტაპზე აღნიშნული პოზიცია ვაკანტურია. სასურველია, ზემოთ აღნიშნულ შესაქმნელ (ქვე-)განყოფილებაში „მოადგილე“ დაემატოს შემდეგი სახის ინფორმაცია: ,,თანამდებობა დაკავებული არ არის“, ,,მოადგილე ჯერ არ დანიშნულა“ ან *მისთ.*

2. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და აკადემიის საფოსტო მისამართი (საფოსტო ინდექსზე მითითებით).

3. ვებ-გვერდზე მოცემულია აკადემიის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა სასურველია, აქვე მითითებულიც იყოს, რომ მოცემული ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს:

4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება აკადემიის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (საშტატო სისტემის სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება აკადემიის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

5. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული აკადემიის დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია. ვებ -გვერდზე არ არსებობს შესაბამისი (ქვე-)განყოფილება, სათაურად „ისტორია“.

6. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში, სათაურად „ჩვენს შესახებ” არსებულ ქვე-განყოფილებაში „მისია“ მოცემულია აკადემიის მიზნების შესახებ ძალზედ მწირი ინფორმაცია, სასურველია, აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში განთავსდეს აკადემიის მოქმედი დებულების თანახმად განსაზღვრული აკადემიის მიზნების და ამოცანების აღწერა:

მისია

ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მისია ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუციისა და კერძო სექტორის განვითარების მხარდაჭერაა. რასაც აკადემია სასერტიფიკაციო და ტრეინინგ პროგრამების, კადრების პროფესიული უნარების გაუმჯობესების, სტაჟირების პროგრამებში ჩართვისა და შემდგომი დასაქმების ხელშეწყობის გზით ახორციელებს.

აკადემია მოწოდებულია შექმნას საუკეთესო და კომფორტული გარემო კვალიფიციური ცოდნის მისაღებად და დაარსების დღიდან ემსახურება ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა პროფესიულ მომზადებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, ძლიერი კადრებით დაკომპლექტების ხელშეწყობას სტაჟირებისა და სხვა საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებით.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

7. ვებ-გვერდზე არ მოიძიება აკადემიის სტრუქტურის (საშტატო სისტემის) შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება საშტატო სისტემის სრულყოფილი აღწერა;
- არ მოიძიება საშტატო სისტემის ერთეულთა კომპეტენციის აღწერა;
- არასრული სახით მოიძიება საშტატო სისტემის ერთეულთა ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები:

  ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში, სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“ არ არის მოცემული შემდეგი საშტატო სისტემის ერთეულთა - ინოვაციებისა და განვითარებადი პროექტების მენეჯერისა და საგარეო ურთიერთობების მენეჯერის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია:



- არასრული სახით მოიძიება საშტატო სისტემის ერთეულთა საკონტაქტო რეკვიზიტები: ელ.ფოსტები და ტელეფონის ნომრები.

  ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში, სათაურად „კონტაქტი“ მოცემულია აკადემიის საშტატო სისტემის მხოლოდ ოთხი ერთეულის ხელმძღვანელის სამუშაო ელ.ფოსტა და საკონტქატო ტელეფონის ნომერი:

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

8. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი (არ არსებობს შესაბამისი (ქვე)-განყოფილებები), საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, აკადემიის საქმიანობის ამსახველი წლიური ანგარიშები, სტატისტიკური მონაცემები, გეგმები (მათ შორის აკადემიის მიერ შემუშავებული აკადემიის განვითარების სტრატეგიული მიმართულებებისა და სამოქმედო გეგმები) და პროგნოზები, აკადემიის მიერ შემუშავებული ფინანსური, ბიზნეს და საზოგადოებრივი პროექტები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები *და ა.შ.*

არ მოძიება, აგრეთვე, აკადემიის მიერ მომზადებული სასწავლო მეთოდური სახელმძღვანელობის, საცნობარო და სხვა სახის მასალები.

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „მედია ცენტრი“ არსებული ქვე-განყოფილება „პუბლიკაციები“ იუწყება, რომ გვერდი დამუშავების პროცესშია“



ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „მედია ცენტრი“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სიახლეები“ განთავსებული ბმული „ღონისძიებები“ ცარიელია:

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

9. ვებ-გვერდზე არ მოიძიება აკადემიის დირექტორის და მისი მოადგილის ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ ცნობები, აგრეთვე, მოადგილის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები:



10. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „წლიური ანგარიშები“, სადაც განთავსდებოდა აკადემიის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები.

11. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა აკადემიის მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ აკადემიის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

12. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „პროგრამები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს აკადემია. აგრეთვე, ცნობები იმ პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს აკადემია.

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „პროექტები“, არსებულ ქვე-განყოფილებაში „განხორციელებული“ ალოგიკურად განთავსებულია პროგრამების ჩამონათვალი და პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ცნობები:

განხორციელებული

იხილეთ სრულად

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის სტაჟიორთა მოსამზადებელი პროგრამა

ფინანსთა სამინისტროს აკადემიამ საგამოძიებო სამსახურის 70 სტაჟიორი გადაამზადა. სასწავლო კურსი ერთი თვის განმავლობაში გრძელდებოდა და მოიცავდა ტრეინინგებს შემდეგი მიმართულებით: სისხლის სამართალი, კრიმინალისტიკა, საგადასახადო კანონმდებლობა, ფინანსური აუდიტი, სახელმწიფო ბიუჯეტი, იურიდიული ფსიქოლოგია, გამოძიება და სხვა. შედეგად მსმენელები დაეუფლნენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, თეორიულ ცოდნას, ფუნქცია-მოვალეობებისა და დავალებების თანამიმდევრულად შესრულებას - რაც მათ მომავალი საქმიანობის წარმატებით განხორციელებაში დაეხმარებათ. პროგრამის დასრულების შემდეგ, მონაწილეებს ფინანსთა სამინისტროს აკადემიის სერტიფიკატები გადაეცათ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსი

საგადასახადოს კურსი დამწყები ბიზნესმენებისთვის

2011 წლის ორმხრივი თანამშრომლობის პროგრამა

საქართველოსა და ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტროებს შორის გაფორმებული "2011 წლის ორმხრივი თანამშრომლობის პროგრამის" ფარგლებში ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ბაზაზე ჩატარდა ინგლისურენოვანი ტრეინინგი თემაზე: "საგადასახადო აუდიტი მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის". პროგრამაში გადამზადება ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 19-მა აუდიტორმა და საქართველოს კონტროლის პალატის წარმომადგენელმა გაიარეს. შეხვედრაზე განხილული იქნა: ნიდერლანდებისა და საქართველოს საგადასახადო სამსახურებში აუდიტის ორგანიზება, ბიზნესისა და სიტუაციის ტიპოლოგია, შიდა კონტროლის სახეობები, ნაღდი ფულის ანალიზი, მტკიცებულების შეფასება, დოკუმენტაციის შედგენა და მონაცემების დამუშავება. მიმდინარე წლის სექტემბერში თბილისში დაგეგმილია კიდევ ერთი სამუშაო შეხვედრის ჩატარება საგადასახადო აუდიტის საკითხებზე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სსიპ – ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის თანამშრომლები.

13. ვებ-გვერდზე მართალია არსებობს განყოფილება სათაურად „პროექტები“, თუმცა, მასში განთავსებულია მხოლოდ დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაცია:

დაგეგმილი

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ფინანსთა სამინისტროს აკადემია მუშაობს ელექტრონული ბიბლიოთეკის პროექტზე. აკადემიის ელექტრონული ბიბლიოთეკა იქნება ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისთვის და მაქსიმალურად მოსახერხებელი მომხმარებლებისთვის. აქ შეძლებთ მოიძიოთ თქვენთვის საჭირო თემატური ლიტერატურა.

დისტანციური სწავლება

ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიზანია აკადემიის სასწავლო პროგრამები იყოს ეფექტური, მოქნილი და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ამ მიზნის მისაღწევად აკადემია აქტიურად მუშაობს დისტანციური სწავლების სისტემის დანერგვაზე.

პროექტი ახლო მომავალში ამოქმედდება.

ამავე განყოფილებაში არსებულ ქვე-განყოფილებაში „განხორციელებული“, როგორც უკვე აღინიშნა, განთავსებულია პროგრამების შესახებ ინფორმაცია, ხოლო ამავე განყოფილებაში არსებულ ქვე-განყოფილებაში „მიმდინარე“ განთავსებულია აკადემიის სასწავლო კურსების შესახებ ცნობები:

სასურველია, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „პროექტები“ განთავსდეს აგრეთვე, აკადემიის მიერ განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, აგრეთვე, ცნობები პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ.

14. სასურველია, ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და აკადემიის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

15. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში, სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ნორმატიული აქტები“ განთავსებულია მხოლოდ ორი სამართლებრივი აქტი:

მოცემულ ქვე-განყოფილებაში სასურველია, განთავსდეს აგრეთვე, აკადემიის საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს მინისტრის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები; აგრეთვე, აკადემიის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები (მათ შორის სასწავლო პრეცესების მარეგულირებელი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები), დირექტორის მიერ დამტკიცებული აკადემიის შრომის შინაგანაწესი, სტაჟირებისა და პრაქტიკის გავლის წესი, კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესი; აგრეთვე, სათათბირო ორგანოების, საბჭოების ან/და კომისიების შექმნის და მათი რიცხოვნობის, პერსონალური შემადგენლობისა და საქმიანობის მიმართულების განმსაზღვრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, აგრეთვე, სამინისტროს სისტემის თანამშრომლების, სტაჟიორების-სტაჟირების კანდიდატთებისა და სხვა დაინტერესებული პირებსიათვის განსახორცელებელი სასწავლო პრეცესებისა (სასწავლო კურსების) და სხვა სახის პროექტების ღირებულების განმსაზღვრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

ამასთან, შემდეგი სამართლებრივი აქტები - აკადემიის დებულება და შინაგანაწესი (რომელიც არ მოიძიება) სასურველია, მოიძიებოდეს ცალკეულ ქვე-განყოფილებებში.

აღნიშნულ განყოფილებაში აგრეთვე უნდა მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

➢ **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

16. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

17. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და აკადემიაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის

წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

18. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა აკადემიასა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, აკადემიასა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა (მათ შორის სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები) ჩამონათვალი და პირობები.

19. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება, სათაურად „ტენდერები", სადაც განთავსდება აკადემიის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, აკადემიის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

20. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება, სათაურად „ვაკანსიები", სადაც განთავსდებოდა ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (აკადემიის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

21. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი აკადემიის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:

- არ მოიძიება აკადემიისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება აკადემიის ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება აკადემიის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება აკადემიის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს აკადემია;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ აკადემიისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
88,89%
2. ძიება
40,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
50,00%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
33,33%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
55,00%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
57,14%
9. ელექტრონული ჩართულობა
16,67%
10. ელექტრონული სერვისები
27,27%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
0,00%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
50,00%
0
0,2
0,4
0,6
0,8
1

- **ძიება**

ძიების მოდულში არ არის გათვალისწინებული ქართული ფონტის გამოყენება. სასურველია, რომ ინგლისურ ვერსიაშია ავტომატურად იწერებოდეს ლათინური ფონტით, ხოლო ქართულ ვერსიაში ქართული ფონტით:



ვებ-გვერდის კალენდარი გამოიყენება სიახლეების ან ზოგადად ინფორმაციის თარიღის მიხედვით ძებნისთვის, ხოლო ამ შემთხვევაში კალენდარი უფუნქციოა (შემოწმებულია აგვისტოს პირველი რიცხვიდან 28 ოქტომბრის ჩათვლით):

ძიების მოდულში სიტყვა - „მინისტრის“ ძიების შედეგად, გამოჩნდა სხვადასხვა ინფორმაციები, ერთ-ერთი მათგანი არის უბრალოდ ტექსტი „მინისტრი“, რომელიც არც ბმულია და არც რაიმე ინფორმაციას შეიცავს:



დამონიტორინგებული 52 საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდებს შორის, ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ვებ-გვერდზე პირველად დაფიქსირდა ატვირთულ ფაილებში ძიების ფუნქცია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის. თუმცა, ეს ფუნქცია ეძებს მხოლოდ Microsoft Document (.doc) გაფართოების ფაილებში, როდესაც ვებ-გვერდზე სხვა სახის ფაილებიც არსებობს, მაგალითად უწყების დებულება, რომელიც .pdf გაფართოებით არის წარმოდგენილი. სასურველია, რომ თუ ვერ ხერხდება .pdf ფაილებში ინფორმაციის ძიების უზრუნველყოფა, მაშინ აღნიშნული დოკუმენტები .doc ფორმატშიც იყოს განთავსებული ვებ-გვერდზე.

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვიდეო გალერეაში, ვიდეო ფაილების ზომა საკმაოდ პატარაა, რის გამოც Flash Player-ი კარგავს მის ორიგინალ ზომას და მისი ღილაკები ერთმანეთში ირევა:

ამ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია შემდეგნაირად:
ვიდეორგოლების მაგივრად, ვებ-გვერდზე უნდა იყოს ატვირთული ვიდეორგოლის პირველი კადრის სურათები (Thumbnail);

ვებ-გვერდში გამოყენებულია ტექსტები, რომლის ზომა ნაკლებია ვიდრე 12 პიქსელი, ამგვარი ტექსტები რთულად წასაკითხია, განსაკუთრებით მხედველობასთან პრობლემების მქონე პირთათვის:

- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდზე, სტრუქტურის კატეგორიაში არსებობს სინტაქსური შეცდომა:



თუ დააკვირდებით, ვებ-გვერდში ისევ ვებ-გვერდია ჩატვირთული, სინამდვილეში კი მთლიანად ვებ-გვერდი უნდა შეცვლილიყო და გამოეტანა ახალი ინფორმაცია;

ვებ-გვერდის სტრუქტურასთან დაკავშირებით დაფიქსირდა კიდევ ერთი პრობლემა, კერძოდ მისი არასწორი დაპროგრამების შედეგად, მონიტორზე ჩნდება დამატებითი ჰორიზონტალური „Scroll“-ი:

ვებ-გვერდის სურათები პატარავდება პროგრამული კოდით, რაც ანელებს ვებ-გვერდის ჩატვირთვას და ასევე ხელს უშლის სერვერის სწრაფად მუშაობას:

- **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

ვებ-გვერდის RSS, IN, SHARE ღილაკები უფუნქციოა:

- **ონლაინ სერვისები**

სიახლეების გამოწერის მოდულში, რეგისტრაციის შემდეგ არ გამოდის შესაბამისი შეტყობინება - წარმატებით გაიარა მომხმარებელმა რეგისტრაცია თუ წარუმატებლად:



ვებ-გვერდის ონლაინ სერვისები რთულად მოსაძიებელია, რადგან მისი ბანერები ყველა გვერდზე არ დევს, ხოლო მენიუში მისი ბმული კი ძნელად შესამჩნევია:



ბრაუზერ Internet Explorer 7.0-ში არეულია ონლაინ სერვისის სტრუქტურა:



იგივე მოდულში გამოყენებულია არასიმეტრიული და ინტუიციურად დასაბნევი სტრუქტურა:



- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდს პრობლემა აქვს უსაფრთხოების კუთხით. ფილტრაციის არ ქონის გამო, ხელოვნურად პარამეტრების შეცვლის შედეგად სერვერზე ხდება შეცდომები:



Server Error in '/' Application.

Runtime Error

Description: An application error occurred on the server. The current custom error settings for this application prevent the machine.

Details: To enable the details of this specific error message to be viewable on remote machines, please create a <customErr "mode" attribute set to "Off".

```
<!-- Web.Config Configuration File -->

<configuration>
    <system.web>
        <customErrors mode="Off"/>
    </system.web>
</configuration>
```

Notes: The current error page you are seeing can be replaced by a custom error page by modifying the "defaultRedirect" attr

```
<!-- Web.Config Configuration File -->

<configuration>
    <system.web>
        <customErrors mode="RemoteOnly" defaultRedirect="mycustompage.htm"/>
    </system.web>
</configuration>
```

ჩვენ სპეციალურად დეტალურად არ აღვწერთ ამ ხარვეზს, თუმცა ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ოფიციალურ პირთა დაინტერესების შემთხვევაში მივაწვდით სრულ ანალიზს აღნიშნული ხარვეზის შესახებ;

- **დამატებითი პარამეტრები**

ვებ-გვერდი დაწერილია რამოდენიმე ტექნოლოგიაში, რომლებიც ინტეგრირებულია ერთმანეთში. ერთ-ერთი მოდული დაწერილია Silver Light-ში, რომელიც ყველა პერსონალურ კომპიუტერს არ მოყვება და არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ მომხმარებელმა ვერ გახსნას ეს მოდული:



ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდში გამოყენებულია ტექნოლოგია Silver Light-ი, რომელიც ყველა პერსონალურ კომპიუტერს არ მოყვება. შესაბამისად, ეს მოდული ყველა მომხმარებლისთვის ვერ იქნება ხელმისაწვდომი, საუბარი აღარ არის სხვა ციფრულ მოწყობილობებზე, რომლებიც გაცილებით სუსტია ვიდრე პერსონალური კომპიუტერი (მობილური ტელ. „პლანშეტები“ და ა.შ.). ამიტომ პირველ რიგში უნდა შეიცვალოს ამ მოდულის ტექნოლოგია. ასევე ვებ-გვერდზე წარმოდგენილია უფუნქციო ღილაკები (RSS, Share და სხვა) რომლებსაც შესაბამისი ფუნქციები აქვთ მისანიჭებელი.